150 დავით აღმაშენებლის გამზირი
თბილისი,საქართველო
+995 32 295 00 30

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

14 / ივნისი / 2023 წ.

KA020164597537123

№ **22/4864**

სსიპ გარემოს ეროვნულ
სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობის ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ჯვარისას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, 284 573 ტონა თიხის (კერამიკული ნედლეული) მოპოვების განცხადებას (ID 56297/96064, 11.05.2023წ.).

ლიცენზია გაიცემა სავარაუდოდ 20 წლის ვადით, ხოლო 20 წლის განმავლობაში (ჯამურად) მოსაპოვებელი რესურსის მოცულობა შეადგენს 284 573 ტონას, წელიწადში საშუალოდ 14 229 ტონას. თუმცა, ლიცენზიანტს უფლება აქვს მოიპოვოს წლიურ მოპოვებაზე (წერილში მითითებულ 14 229 ტონაზე) მეტი რესურსი.

გეოსაინფორმაციო პაკეტი და რუკა თან ახლავს სკრინინგის განცხადებას დანართის სახით.

სალიცენზიო ობიექტი, რომელიც წარმოდგენილია ერთ უბნად მდებარეობს ზღვის დონიდან 450-510 მეტრის სიმაღლეზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტში, ჯვარისას ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას.

ობიექტი მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, ასევე არ ფიქსირდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან და სხვა ობიექტებთან.

სალიცენზიო ობიექტის სიახლოვეს ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (680 მეტრი).

რაც შეეხება საქმიანობის სხვა მახასიათებლებს (მაგ: ნარჩენების წარმოქმნა, ხმაურის დონე და ა.შ.), აღნიშნული დამოკიდებულია სამუშაოების წარმოების პროცესზე და წინასწარ არ ვფლობთ ინფორმაციას, თუ რა სახის ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს აღნიშნულმა საქმიანობამ გარემოზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა აღნიშნული საქმიანობა გარემოზე შეფასების საქმიანობას და შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: გეოსაინფორმაციო პაკეტი - 4 გვ, ტოპორუკა - 1გვ., shape ფაილი.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული
სააგენტოს უფროსის პირველი მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ნანა ზამთარაძე